


100-4

# დედას

03.01.96 - 30.01.96 1996 წელი

საქართველოს  
ფინანსების

F 343  
1996



# ქართული საბავშვო პოეზიის მცირე

## ანთოლოგია

ნიკოლოზ ბარათაშვილი

### ჩჩილი

მიუვარს, მიუვარს მე ტიკტიკი ჩხვილის ურმის,  
მიუვარს სმენა უცნაურისა მის სმის,  
ოდეს იგი ენითა სასუფეველის  
უაღერსებს წიაღთა თავის მშობლის!

მის სოფელი უსრუნველობით შენობს;  
გარდა დედის აღერსისა არრას გრძნობს;  
ნებივრობით და ღიმილით სულდგმულობს;  
ყოველსავე შეუპოვრად მჭერტეკლობს.

არა ფიქრობს იგი თავისს ცხოვრებას,  
არ განიცდის იგი საწუთროს ვნებას;  
იგი თავის სასუკველითა შობით  
ამუნათებს თვისთა მშობელთ ზირიქით.

იტტიკტიკე ენითა უსუსურის,  
იტტიკტიკე, ვიდრე ქაში დაჯნარის,  
ვიდრემდის ხარ, ურმაო, თავისუფალი,  
არ გიცვნია სოფელი მომღერალი!



ჩვენო პატარა მეგობრებო!  
ჟურნალის ეს ნომერი საჩამ თქვენამდე მოაღწევდა, მანამდე შორეული  
ნაოსნობის კაპიტანივით, დიდი საზღვაო მონაკვეთი გამოიარა - სულ  
ახლახანს ბულგარეთიდან დაგვიბრუნდა!  
საკუკუნეს მიახლოებულმა ჟურნალმა პირველად, სრულიად უხმაუროდ,  
დატოვა საკუთარი ქვეყნის საზღვრები, რათა უცხოეთიდან კიდევ უფრო  
გამშვენებულნი დაგვბრუნებოდა!  
ზურგის ქარი არ მოკლებოდეს იმ ბორანს, რომელმაც ეს ძვირფასი  
ტვირთი საქართველოში ჩამოიტანა!  
თქვენ კი სიყვარული და სიმშვიდე არ მოგკლებოდეთ საკუთარ  
ქვეყანაში, ჩვენო პატარა მეგობრებო!





## მარხვის შესახებ

ნანა ჩარკიანი

მსაზვარი ელზარდ აბოკაძე

ალბათ გსმენიათ, რომ ქრისტიანები დიდი საეკლესიო დღესასწაულების წინ მარხვას ინახავენ. სამარხეო დღეებია, ასევე, ოთხშაბათი და პარასკევი. ზოგიერთს მარხვა მხოლოდ ხორცის ჭამაზე უარის თქმა ჰგონია. მოდით, ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ რა არის მარხვა და რისთვის არის იგი საჭირო.

უპირველესად უნდა ვიცოდეთ, რას გვა-სწავლის ქრისტიანული მოძღვრება ადამიან-ის შესახებ. ადამიანი შედგება სხეულისა და სულისაგან. სულით ადამიანი აზროვნებს, იძვრნებს ღმერთს, სამყაროს, საკუთარ თავს, სხვა ადამიანებს, უყვარს, ქმნის ხელოვნების ნიმუშებს. სხეულით კი იკვებება, დადის, სძინავს, და ასრულებს იმ საქმეს, რაც სულს ნებაჲს. ერთი სიტყვით, სხეული არის სულის მსახური.

ჩვენ, ადამიანებს, ხშირად გვავიწყდება, რომ სულიერად უნდა ვცხოვრობდეთ, და მხოლოდ სხეულის მოთხოვნებს ვიკმაყოფილებთ.


ხშირად, სულის კარნახით, გვინდა რაიმე კეთილი საქმის გაკეთება, მაგრამ ვერ ვახერხებთ, სხეულს არ სურს ხოლმე სულის მორჩილება, რადგან დაჩვეულია მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ზრუნვას. გამოდის, რომ სუსტი ვყოფილვართ, ჩვენზე ჩვენივე სხეული ბატონობს და არ გვაძლევს საშუალებას, ვაკეთოთ ის, რაც, ვიცით, რომ კარგია ან ვილაცისათვის საჭირო.

უკეთ რომ გაიგოთ ჩვენი ნათქვამი, შემ-დეგ მაგალითს მოგიყვანთ: სხეული შევ-ადართო ცხენს, ხოლო სული - მხედარს. დახლოვებულ მხედარს ცხენი ისე ჰყავს განვრთნილი, რომ იგი პატრონის ნებისმიერ ბრძანებას ემორჩილება, ხოლო უნიათო მხედარს არა თუ არ ემორჩილება, არამედ შეიძლება გაიტაცოს კიდევ ის და უბედურებაც შეამთხვიოს.

მარხვა არის სწორედ ამ სისუსტის დაძლ-ევის საშუალება, სულიერი ვარჯიში, ანუ, როგორც ძველად იტყოდნენ, სულის ნერთნა. მარხვის დროს თავი უნდა შევ-იკავოთ ზედმეტი ხორციელი

სიამოვნებისაგან. ასეთი თავშეკავება იმისათვის არის საჭირო, რომ უფრო მეტად დავფიქრდეთ ჩვენს სულიერ ცხოვრებაზე, მეტი დრო დავუთმოთ მას. სულიერი ცხოვრება ნიშნავს, გაიზარო შენი ყოველი საქციელი და სიტყვა, ყური მიუგდო საკუთარ სინდისს - სწორად მოიქეცი თუ არა. თუ რაიმე არასწორად ჩაიდინე, უნდა აღიარო და მოინანიო ღმერთისა და მოძღვ-რის წინაშე. მოძღვარი ილოცებს შენთვის და ღმერთი აუცილებლად გაპატიებს. ხოლო ის, რასაც არ მოინანიებ, სიმძიმედ დაანჯვბა შენს სულს, და გუნებას გაგიფუჭებს; არც ადამიანის წინაშე იქნება მართალი და არც ღვთის წინაშე.

სულიერი ცხოვრება არის, ასევე, მონაკლებების გალება. ეს ნიშნავს, დახმარება გაუწიო ადამიანს. პირველ რიგში ჩვენი დახმარება საკუთარი ოჯახის წევრებს უნდა შეეთავაზოთ. შემდეგ ჩვენს ახლობალს უნდა მოვიძიოთ, იქნებ მეზობლად მოხუცი და დაუძლურებული ადამიანი ცხოვრობს, რომელსაც მუშაობა აღარ შეუძლია და არც ახლობელი ჰყავს მომვლელი. შენ შეგიძლია,



საგარეო  
პაროქიალი  
ზინალითიქა



შენს მშობლებთან ერთად მოინახულო ის, ცოტაოდენი საკვები წაუღო, გააძნეო. ასეთი მარტოხელა ადამიანისათვის შენი სტუმრობა დიდი სიხარულის მომტანი იქნება. ქრისტე ამბობს, რომ ყველა ადამიანი მისი მეილია, ამიტომ თუ ჩვენ დავეხმარეთ ვინმეს, თუნდაც ჩვენთვის უცნობ ადამიანს, ეს ნიშნავს, რომ ღმერთის შვილს დავეხმარებართ, ესე იგი, თავად ქრისტეს წინაშე ჩავგიდენია კეთილი საქმე.

მონაწილეობის საქმეა, ასევე, ავადმყოფის მონახულება და ნუგემისცემა (ანუ გაძნეება), მწუხარე ადამიანის სატკივარის გაზიარება და სხვა. ასეთი საქმეების შემდეგ კაცი დიდ სიხარულსა და კმაყოფილებას გრძნობს. ამგვარი გრძნობა ყოველთვის თან ახლავს კეთილ საქმეს. მას ქრისტიანულ ენაზე მაღლი ეწოდება.

სანამ მარხულობას დაიწყებდეს, ქრისტიანმა სხვასაც უნდა სთხოვოს პატივითა და თვითონაც უნდა აპატიოს, ანუ შეუნდოს ცოდვები. მაცხოვარი ადამიანებს ასწავლიდა, რომ ის, რაც არ გინდა რომ სხვამ გაგიკეთოს, შენ თვითონ არ უნდა გაუკეთო სხვას. ამ სწავლებას სახარების ოქროს კანონს უწოდებენ. უნდა ვიცოდეთ, რომ თუ ვინმემ გვანყენინა, სწორი არ იქნება, პასუხად ჩვენც ვანყენინოთ, ეს მხოლოდ გამარავლებს უსიამოვნებს. თუ შეუტყვევებთ, მაშინ კი ადამიანი თავის შეცდომას მოხდება და შეინანებს. ამით შესაძლებელი გახდება კეთილი ურთიერთობის აღდგენა. მთავარი ხომ ისაა, ადამიანებს ერთმანეთი გვიყვარდეს.

მარხვისას ქრისტიანები განსაკუთრებით ლოცულობენ. ლოცვა არის ადამიანის საუბარი ღმერთთან. ამას ჩვენ ვეწოდებთ.

მარხვის მაგალითი ჩვენ თავად იესო ქრისტემ მოგვცა. სახარებაში აღწერილია, რომ მაცხოვარი უდაბნოში გავიდა და იქ ორმოცი დღის განმავლობაში მარხულობდა.

წელიწადში არსებობს ოთხი დღი, ანუ მრავალდღიანი მარხვა, რომელიც წინ უძღვის ის ოთხ უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს. ესენია: პეტრე-პავლობა (ქრისტეს მონაფეთა ხსენების დღე), მარიამობა (ღვთისმშობლის მიძინების, ანუ გარდაცვალების დღე), შობა და აღდგომა. რაც შეეხება ოთხშაბათს, ამ დღეს ქრისტე გასცა მისივე მონაფემ, იუდაემ, ხოლო პარასკევს მარხვას იხსნავენ ქრისტეს ფვარცმის მოსახერხებლად.

დღესასწაულების დროს ტაძრებში სრულდება საზეიმო წირვა. ამ დროს მორწმუნეები ეზიარებიან. ზიარება, მოკლედ რომ ვთქვათ, ნიშნავს უფალთან შეხვედრას. აქედან გამომდინარე, მარხვა არის მომზადება უფალთან შესახვედრად, უფალთან, რომელიც ყოველთვის ელოდება, რომ მოვიწოდოთ მასთან ურთიერთობა.

ასე რომ, მარხვა არსებობს იმათთვის, ვისაც სურს იყოს ძლიერი არა მარტო ფიზიკურად, არამედ, უპირველესად, სულიერად; ვისაც სურს იცხოვროს სულიერად, იფიქროს საკუთარ საქციელზე, აკეთოს მხოლოდ სიკეთე; იმათთვის, ვისაც სურს უფალთან, ღმერთთან ურთიერთობა.



# ჩემი მთა და ბარი

ბრიგოლ ჯალაღანიძე

ჩხენიშია,  
ღანიშია,  
ქვიტირი თუ  
ხაბაკუვი,  
ყველას,  
ყველას,  
ყველას,  
ყველას  
მოფერებას  
კადაყვეები.  
ფეხით უნდა  
მოვიარო  
იმერეთი, ქვედა,  
ზედა  
ქართლს და კახეთს  
გულს გაუხსნის,  
აუძაღღდები ზედასენთან.



სვეტიცხოველს მუხლს მოვუყრი,  
სულს ვავითბობ  
ჯვარის ცქერით...  
თუ სამშობლო არ შევიცნა,  
მე ქართველი არ ვიქნები.  
მერე ვნახავ,  
მერე ვნახავ,  
უცხო ქვეყნის  
მწეს და ხეროს,  
ჯერ კი ჩემი მთა და ბარით  
თვალი უნდა შევაჯერო.

მხატვარი ბასო ხილაშელი



ზღაპარი



## მარსალ ვაჩიბა

მუხრანის ტყეებში ნაბლის პირველმა ხემ დიდი ხნის წინათ გაიხარა. ნაბლი სხვა ხეებს ისე ჰგავდა, რომ არავინ იმას ზედ არ უყურებდა. მაგრამ ერთხელ, როცა ციყვი კაკალს დაეძებდა, უეცრად ნაბლის დიდება ბურძღლმა უჩხვლიტა.

- ვაი! - დაიყვირა ციყვმა და თათი უკან წაიღო.

- მოიცა, რა იყო... - უთხრა შუაზე გამსკდარმა ბურძღლმა და ყველამ დაინახა, რასაც შიგნით მალავდა.

ახალი ამბავი ტყეს უცებ მოედება ხოლმე და მალე ყველამ იცოდა, რომ მშვენივრად დახუნძლული ნაბლის ხის კაკალი ეკლიან ბურძღლში იყო გამოხვეული. ყველანი ნაბლის სანახავად გაიტყვნენ. მიიჩინა პან-ანინა ზღარბმაც, რომელიც მაშინ სრულიად უეკლო იყო.

მაგრამ ზღარბის დაუძინებელი მტერი, ბატონი მელაკუდა, ტყუილად დროს არც მაშინ კარგავდა. იმან სწორად იფიქრა: რაკი ამდენმა ცხოველმა თავი ერთად მოიყარა, უთუოდ რამეს გამოვრჩებიო.

ზღარბმა ნაბლის მაგარ კაკალს ალესილი კბილები ჩაასო თუ არა, მელაკუდამ სიცხილი დააყარა. მან უკვე წარმოიდგინა, ზღარბით პირს როგორ ჩაიტკბარუნებდა.

- მიშველეთ! მიშველეთ! - დაიყვირა სანყალმა ზღარბმა.

- აბა, დაიტყ! - ჩამოსძახა ნაბლის ხემ,

რადგან ზღარბი ძალიან შეეცოდა, გამსკდარი ბურძღლის ეკლიანი ნახევარი თავზე და ტანზე წამოახურა და თან ჩამოსხურჩულა:

- არ გაიხინრე, წურაფრისა შეგემინდება. - ახლავე გადაგასნლავე! - დაიღრიალა მელაკუდამ, უზარმაზარი ხახა დალო და ეკლიან ბურძღლს წაეტანა, მაგრამ ბურძღლმა უჩხვლიტა.

- ვაიმე, დელიკო! მიშველეთ, მომეხმარეთ! - იყვირა მელიამ.

- აბა, აქედან ნეთორიე, მელაკუდავე! - უთხრა ზღარბმა, რომელიც ბურძღლში გამოხვეულიყო და სიცილით კვდებოდა. - შენ კი, ჩემო ნაბლის ქურჭო, ალარც მოგიმორებ, ჩემთვის აბრეშუმზე უფრო ნაზი ხარ და სხვისთვის ბასრ ეკალზე უფრო ბასრი.

- როგორც გენებოს! - გამოეპასუხა ნაბლის ბურძღლი, რომელსაც, რა თქმა უნდა, მინამი ჩაღობბას ზღარბის ზურგზე ყოფნა ერჩია.

იმ დღიდან ზღარბი ბასრი ეკლებით არის დაფარული და იმისმა ეკლებმა ნაბლის ბურძღლს თუკი გადაამეტა, ეს იმის ბრალია, რომ ზღარბი მადას არ ემდურება.

მელია კი, როგორც ამბობენ, ოვერნის ტყეებში იმის მერე საერთოდ ალარც დაუწახავთ!

ფრანგულიდან თარგმნა გივი ნაზაძემ



მხატვარი ელზარდ ამბოკაძე

# ნეტავი რა მანძილია მოვარედე?



ამ რამდენიმე თვის წინათ, როდესაც ყურნალი „დილა“ აღდგა, ერთ-ერთი პირველი გამოგეხმარა ჩვენი დეაწლმოსილი მეცნიერი, ბატონი ევგენი ხარაძე.

სამდვილად სახიამოვნოა, რომ ბატონ ევგენის თურმე ფოველთვის გამოწერილი ჰქონია „დილა“ და ახლაც ჩვენი ერთგული მკითხველი და გულშემატკივარია.

ამას წინათ, ბატონი ევგენი ხარაძე რედაქციაში გვესტუმრა და თქვენთვის, ძვირფასო ბავშვებო, ეს საინტერესო წერილი მოგვიტანა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

## ნეტავი რა მანძილია

### მოვარედე?

ძალიან დიდი! რადგანაც თურმე, თუ ისეთი სამეზავრო თვითმფრინავით შეგვეძლება გაფრენა, რომელიც საათში 500 კილომეტრს ფარავს, მოვარეს ვერ მივალწვევთ არათუ ერთ დღე-ღამეში ან თუნდაც ერთ კვირაში, არამედ მთელი თვის განუწყვეტელი ფრენითაც კი. და მხოლოდ 32 დღე-ღამის შემდეგ მივუახლოვდებით მას.


აი, ვიანგარიშით: ერთ დღე-ღამეში, ანუ 24 საათში თვითმფრინავი 12 ათას კილომეტრს გაივლის ( $500 \times 24$ ); ერთ კვირაში ( $12\ 000 \times 7$ ) = 84 000 კილომეტრს, და მთვარე ჯერ ისევ ძალიან შორს იქნება ჩვენგან...

ახლა ერთი ფანტასტიკური რამ წარმოვიდგინოთ: ვითომ მოვარემდე რკინიგზაა გაყვანილი და მისკენ მატარებლით მივემგზავრებით. მატარებელი კი თვითმფრინავზე ხუთჯერ უფრო ნელა მოძრაობს, ე.ი. საათში 100 კილომეტრს გადის. ამიტომ მთვარესთან ჩვენს მიახლოებას ხუთჯერ მეტი დღეები (32 დღე-ღამე  $\times 5 = 160$  დღე-ღამეს) მოუნდება.

ვთქვათ და გამოჩნდა ადამიანი, ვინც მოინდომებს ფეხით გაყვეს რკინიგზის ლიანდაგს მოვარემდე... ამაო ვარჯაა. მთელი სიცოცხლეც არ ეყოფა, მოვარეს რომ მიუახლოვდეს, რადგან... მოვარემდე 385 000 კილომეტრია.

ივანე ხარაძე

მხატვარი ელზარდ ამოკაძე



# რას ნიშნავს კონსტაგორა?



ეროვნული

მხატვარი ვაჟა ჯანაშია

ვლადიმერ ასლანაშვილი

- დგებარ და მიყურებ გაკვირვებით, ველარ მცნობ, ადამიანო? კონსტაგორა ვარ, კონსტაგორა! ადრე ხომ ასე მეძახდი, განა სიყმაწვილეში ტოლებთან ერთად არ გითქვამს, ბიჭებო, წავიდეთ კონსტაგორაზე მარწყვის საკრეფადო?

განა მარტო მარწყვი?

იმ ტყეში, ჩემს ფერდობებს რომ ამშვენებდა, ნაირ-ნაირი გარეული ხეხილი ხარობდა. გვიან შემოდგომით, ბარიდან წამოსული ნისლი თავზე სველი, თეთრი ხილაბანდივით რომ შემომხვევოდა, მწყევსებე მესტუმრებოდნენ, ტყეში მაქალო ვაშლს, პანტას, შინდსა და რკოს აგროვებდნენ, გოდრებს პირამდე ავსებდნენ, აკიდებდნენ სახედრებს და სოფელში მიჰქონდათ.

უწინ ნადირ-ფრინველითაც ვიყავი მდიდარი. მაღალ მთებში რომ დახამთრდებოდა, დიდთოვლობით გაბეზრებული ნადირი ამ არემარეს მოაწყვებოდა. ჩემს ტყიან ფერდობებს შველი შემოეხიხებოდა ხოლმე. თოვლი ცოტა ვიცოდი, მაღე მადნებოდა და შველს ბლახისა და ნეკერის შონა არ უჭირდა.

რამდენი რამის გახსენება შემიძლია.

მე ხომ ადამიანზე ადრე გამაჩინა განგებამ. ამ ადგილას დამამკვიდრა და მიბრძანა: იდექი აქ და ეს მხარე დაამშენე, ტყე და ბალახები ახარე, ნადირ-ფრინველი შეიფარე, დამალე და გაამრავლე, დაბლობში წყარო რომ ამოუნახებ, ტყის ნაპი არ მოაკლო, წვეთ-წვეთ მიაწოდო. მეც ვიდექი საუკუნეები, და მორიხად, როგორც დედის გამგონე შუღმა იცის, ვასრულებდი იმას, რაც განგებამ დამიწესა.

ესლა რომ მიყურებ, ადამიანო, რა დავრჩი იმ კონსტაგორასაგან, რაც სიყმაწვილეში გინახავს.

ტყე დიდხანია შემომეძარცვა. უგულო, ხარბმა ადამიანებმა ტყე გაკაფეს და გახიდგამოხიდეს.

უტყეობამ წყარო დააშრო. უტყეოდ კი ცისნამს რა შეინახავს?!

მეც გავნახევრდი, გადამთხარეს, გარშემო გზა ქამროვით შემომარტყეს, დამანგრიეს და ღამის მიწასთან გამასწ-





ორეს. ზედ ეს თეთრი შენობა დამადგეს. ნეტავი საიდან მოდის ამდენი ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხი, ჭიანჭველებით რომ ირევიან და დღე და დამე მოსვენება არა მაქვს. მათმა ხორხოცმა და მანქანების გრიალმა ხიმშიაღე დამიკარგა.

მარტო მე არ ვარ ამ დღეში. ავტო იქ, თუ გახსოვს, უნაგირით პატარა გორა იდგა. ზედ ძველთაძველი ციხის ნაშთი იყო შემორჩენილი.

აღრე, ხანამ ციხე ნანგრევებად იქცეოდა, შიგ ფარ-შუბიანი მეომრები იდგნენ. სამხრეთიდან წამოსულ მტერს პირველები უმართავდნენ ბრძოლას.

ამასწინათ, ნეტავი არ მენახა, უნაგირა მიწასთან გაასწორეს, მას გორაკებიც მიაყოლეს. ჩამოთხარეს, პიტალო კლდეებად აქციეს და ქალაქში მისასვლელი გზა გაიყვანეს. აქედან ვუყურებდი და გული მიცვლებოდა, როგორ ინგრეოდა ციხის ბურჯები.

რათა, რისთვის? რატომ დაგვანგრეთ, რას გვერჩით, ადამიანებო, ნუთუ აღარ გჭირდებით ამ

მიწა-წყლის დასამშვენებლად? რამ გაგაბოროტათ, რამ გაგიქროთ მადლი, რომ მთასაც ადვილად გასაწირად და ბარსაც? რამ წაგართვათ იმის გაგება, რომ ეს მთები, ეს გორაკები, ტყე და მცენარეები, მთებიდან გადმომსვლარი ხანჩქერები და მდინარეები, მიწიდან ამომდულარე წყაროები თქვენთვის შექმნა ბუნების ძალამ, თქვენს საარსებოდ გააჩინა, ისიც კარგად იცით, რომ ერთის ნგრევა და მოსპობა მეორის სიკვდილსაც იწვევს. ის, რაც ბუნებას აკლდება, თქვენ გაკლდებათ, თქვენს მომავალს აკლდება.

შერე რა, რომ მთები და გორები უენოები ვართ. არც მაშინ გვედის ცრემლი, როცა დასანგრევად გვიმტკებთ. ეგ ჩვენი ხასიათია, ყველა სატყეო უთქმელად უნდა ავიტანოთ. რაკი არ ვჩივით, განა იმიტომ უნდა მოგვსპოთ და გაგავტიალოთ? თქვენს მომავალს ჩვენ-ისთანა უტყეო მთა-გორები, ქიხორა ტყეები, მთის ანკარა ნაკადულები და წყაროები სჭირდება. გაგვიფრთხილდით ბუნების შვილებს.



# რას გვიჩვენებს მოხუცი გიტყვევი:

ტყვეს სურავის აჩეხინებთ,  
 უმაწვილებთ ჩემო,  
 სოკოს,  
 მარწყვის,  
 წყაროს წყალის  
 არ დაგვარვით ვემო.  
 ცულის უოველ შემოკერაზე  
 წიფლის მესმის ხვნება...  
 აქ ისედაც ბლომად არის -  
 ფინისი, ხმელი შუმა.  
 თუ მოვინდათ, წამში, ხელად  
 გაახალბებთ კოცონს,  
 ზოგ ხარბს მაინც ხის მოჭრა და  
 დანარცხება მოსწონს.  
 ზოგი თვითონ იქცა მხეცად,  
 ცოცხალს არას ინდობს,  
 დაწანწალებს თოფით ხელში,  
 ტყე-ტყე, მინდორ-მინდორ.  
 ქვის გული აქვთ, ნადირთ სოცვა  
 და ფრინველთა ქვებტა,  
 ბათქა-ბუთქი ამ უგნურებს  
 არ მობეზრდათ ნეტა?!.  
 დაღანებდეს ბარში უანა,  
 მთაში - სვილი, შვრია...  
 რა ჯობია აღიონზე  
 ვერხვის, მუხის შრიალს.  
 გასაფხულდა და გუგულის  
 რეკავს „კაფე-თესე!“  
 არსად არის სილამაზე,  
 უმჯობესი ტყეზე.



# მზინადა

მინდვრად მზისებრ  
 ამოვირწყინდი,  
 ვუვილობა მიდგას ლადი,  
 ბეთანიის ვკირილა ვარ,  
 არა ხელოფხური ბადის.

გავმრავლდი და გავმდიორდი,  
 მტერმა ვუღარ გადაძთელოს,  
 მიხდა ვუვლვან ვინარო და  
 გავანარო საქართველო!



# ვანიკო-ვაკუნა

ვანო ჩხიკვაძე




პალტო უვიდეს ვანიკოს -  
 პატარა ცუკოს ძველბარს -  
 ლამაზი, დიდი, ფართხუნა,  
 ხუთ წელიწადს რომ ეყოფა.  
 საბანიც აღარ სჭირდება,  
 ბიჭუნას, ტუხუბცმადუნას -  
 როდესაც განდი, კაცნა ჰგავს,  
 როცა ჩაადმევ - კაცუნას.

გაფიცულა ვანიკო:  
 - ჩაი ტკბილი არ იყო!  
 ერთი კოვზი ფაფაც  
 აღარ გადაულაპა.  
 არ დალია წუბლიც,  
 გაფიცული არის.  
 გაბუტულა, გასუსულა,  
 არაფისთან არ მისულა  
 და იმდენხანს გაფიცულა,  
 რომ შარვალში...  
 ჩაფისულა.

მხატვარი ლალი ლომთაძე



# ბუნების მონიჭი



**ბიზანტური** ზომის ქვეწარმელები, რომლებიც მრავალი მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ დედამიწაზე, დღევანდელ მუხუმწოვართა შორეული წინაპრები არიან. მათ ბევრი მძიმე განსაცდელი გამოიარეს - გამყინვარება, ჰაერის მკვეთრი ცვლილებები და სხვა, რამაც ფორმათა ძალიან დიდი, კოლოსალური სახეცვლა გამოიწვია.

ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ დღევანდელი სპილოს შორეული წინაპარი ტანად პატარა იყო, დაახლოებით 60 სმ სიდიდისა, მაგრამ ზორზობა ტანი და ფართო, მკვერივი ტერფები ჰქონდა, რაც თანამედროვე სპილოებმა მემკვიდრეობით მიიღეს მისგან. მრავალი მილიონი წლის მანძილზე თანდათანობით გამოიკვთა ამ ცხოველის მიდრეკილება გიგანტიზმისადმი, რამაც ბოლოს მოგვცა სპილოს დღევანდელი სახეობა.


დღეისათვის ცნობილი აფრიკული და ინდოეთის სპილოები წარმოიშვნენ და განვითარდნენ ზორთუმინათა ველსაზე დიდ წარმომადგენელთან - სამხრეთის სპილოსთან ერთად, მაგრამ სამხრეთის

სპილოები უკვე 10 000 წლის წინათ გადაშენდნენ.

აფრიკაში და ინდოეთში, სპილოებზე ნადირობას და მის მოთევნიერებას (სწრაფი) წელზე მგები ხნის ტრადიცია აქვს. „სპილოებზე ნადირობა მანამდე გრძელდება, სანამ სპილო თავისი ზორთუმით არ დაგვიკეროს“, - ამბობს აფრიკული ანდაზა.

აფრიკულ სპილოს 25 მეტრი სიგრძის ნაწლავები აქვს, გულის ცემა წუთში 40-ს უდრის, კანის სისქე - 3,5 სმ-ია, ხორთუმი 4000 კუნთი აქვს. სპილოს გული 12 კგ-ს იწონის, ყური - 80-ს, საერთო წონა კი 7 ტონაა. სიგრძე ზორთუმიდან კულის წვერამდე 8 მეტრია. სპილოს შეუძლია საათში 6-8 კმ გაიაროს. იგი ბალახის მხოველი ცხოველია. ყოველდღიურად 300 კგ საჭმელს და 200 ლიტრ წყალს იღებს. მუცელი მუღმავად უბუფბუფებს.

საერთოდ სპილო მშვიდი და გაწონასწორებული ცხოველია, მაგრამ ქარ-



თული ანდაზისა არ იყოს, - ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა, ცხარიათ, - თუ იგი დაჭრეს და გაამწარეს ბრაციონიერებმა, შეუძლია სხვა სპილოებთან ერთად შევარდეს სოფელში, დანაგრეოს ქოხები, ფესვებიანად მოთხაროს ხეები, ზოგჯერ კი, თუმც იშვიათად, თავს დაესხას ადამიანს და მოკლას კიდევ. აქ გამოსავალი მხოლოდ ერთია - ნუ გავანაწივებთ ამ უწყინარ გოლიათს, ვისიც თვით ცხოველთა მეფეს - ლომს ემინია.

დიდი ხნის წინათ ეურნალ „ეოკრუგ სვეტაში“ მოთხრობილი იყო სპილოსა და ვეფხვის შებრძოლების შემთხვევა. სპილოს დიდსულოვნად არ სურდა ვეფხვთან შეტაკება და ცდილობდა, თავი აერიდებინა ამისთვის, მაგრამ ვეფხვი თითქოს წერამ აიტანაო, ზურგზე შეახტა მას. მაშინ კი სპილომ ხორთუმით ძირს ჩამოათრია, ტერფებქვეშ მოიგდო და იმდენხანს ტკეპნა, სანამ ფიანდაზად არ გააფინა მიწაზე.



აფრიკის ცხოველთა სამეფოში ივარაქის პირველ საფეხურზე სპილო დგას. ლომი მას უთმობს პირველობას. დღეისათვის სპილოების რიცხვი სამას ათასამდეა.





რა დროს გაკეთებ  
ანდა რა დროს ლექსია,  
მოდი, თვალი შეაღლე  
ავერ ხემს კოლექციას:



ხარლი ბარს და შაპელას  
გაუმართავთ ქეიფი!  
ხახუ: თვითონ კინდერში  
არის, ძმაო, ეგ სია!  
შენც დაურთო ეგ სია  
უხდა მენს კოლექციას!

ხედავ? მარჯვნივ, კუთხეში,  
მემუნიერს და მოხდენილს,  
კაკაბივით ზრანკიას -  
ფერიფას მისის კოქტეილს!

მარცხნივ, გვერდით რომ უდგას,  
კაპიტანი შიშია!  
ხედავ? ხატოლო თავისი  
რა თოლად იშოვა!  
კაი ჭამა უუვარს და  
კიდევ უურო - კაი სმა!



- ნეტავ რას იჭიმება  
თქვენი დინო ღოღარი?!  
- უსულუბი აქვს იმდენი! -  
თუ კუზონი, თუ - ღარი!



- უნებ არ გამაგვიროს!  
კინდერი მაქვს იმდენი!  
- მაინც, მაინც რამდენი?  
- კინდერ - კინდერ - კინდერი!

- იქით რა სმაურია,


რა კვირილი გაიხმა?

- ხინო სოხი მობრძანდა,  
მასთან - ბუბი ბუბი!



- დე, მივიდი კინდერს?  
- ხომ მივიდი?  
- კი, დე!  
- სვალდავ? ზეგავ? კიდევ?  
- კი, დე!

კინდერ - კინდერ - კინდერ!  
კინდერ - კინდერ - კინდერ!  
კინდერ - კინდერ - კინდერ!





## პ რ ო ს ა ნ ა პ რ ა მ ა

ამოიცანით პირველ ბადეში ჩასასმელი სიტყვები:

1. ადამიანის სხეულის ნაწილი (ფეხი - მუხლის თავიდან კოჭამდე)
2. ძველგვიპტური სიცოცხლის ღვთაება, ნაყოფიერებისა და დედობის მფარველი ქალღმერთი.
3. საქართველოს მდინარე (ერთვის შავ ზღვას)
4. შვეიცარიის დედაქალაქი
5. ერთგვარი ძველებური თოფი

თუ მეორე ბადეს სწორად შეავსებთ პირველ ბადეში ჩასმული სიტყვების ანაგრამებით, ფერად უჯრებში ზემოდან ქვემოთ წაიკითხავთ სიტყვას „ქაოზი“.

ჭაობი არის დამდგარი წყლით დაფარული ადგილი დაბლობში. ასეთი ადგილები წინათ მრავლად იყო დასავლეთ საქართველოში და, როგორც ყველაფერი უძრავი, არამართო უსარგებლო იყო, არამედ მავნეც (ჭაობები იყო მძიმე დაავადების - მალარიის, ანუ ციების ბუდე). ლმერთმა გვაშოროს უძრავობა, რადგან, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, „მოდრავობა და მხოლოდ მოძრავობაა ქვეყნის სიცოცხლისა და ღონის მიმცემი“. წყალიც მდინარი გვირჩვენია, სიცოცხლევ მჩქეფარი, ბავშვიც, ყრმაც, ჭაბუკიც, მსცოვანიც - წინ მიმსწრაფი.

1					
2					
3					
4					
5					

1					
2					
3					
4					
5					

საგარეო საზღვარის  
განყოფილება  
ბიზნეს ცენტრი





# მასწავლებელი

წუხელის ბიჭი დაბადებულა,  
 გადაჯარბებდა თუ არ ჩამითვლით,  
 ისეთი ბიჭი დაბადებულა,  
 დაურქმევიათ თურმე დავითი.  
 წუხელის ბიჭი დაბადებულა,  
 დაურქმევიათ იმისთვის ცოტნე,  
 მენ, ორგულობაჲ, აბა, ვაბედე  
 და ვული ხვენი ისევე კორტნე.  
 წუხელის შოთად დაბადებულა,  
 დაბადებულა თურმე დემეტრე.  
 განკეიბაჲ, ხვენი ხაქათთელოსთვის  
 რა სისარული ვამოიმეტე.  
 წუხელ ცნს კარი ცხრაჲუ კაბლო  
 ეველა კმირმა და თავდადებულმა:  
 დაბადებულა თურმე ვახტანგი,  
 ძღვედილი თვედროჲ დაბადებულა,  
 დაბადებულა ალკეთს ძელის ლეკვი,  
 ვინანჲ მშის ხვრიბა  
 თურმე ცხელი რმე.  
 დაბადებულა დედა ცხრა მშისა  
 და თავად ცხრა ძმა ხერხეულიძე.  
 წუხელ ხვენი ცა, ისეც მალალი,  
 უფროჲუ მეტად ამაღლებულა,  
 დაბადებულა შთაჲრე - ვიორცი,  
 თურმე ილია დაბადებულა.  
 წუხელის ბტერი -



ერთიარად ხვენი  
 მოსწობის მდომი - დადარდებულა.  
 დაბადებულა თურმე სულხანი,  
 ვრიკოლ ხანმთელი დაბადებულა.  
 დაბადებულა ბიჭი - ჰაბტა,  
 გათეხებულა წუხელის თეთრად.  
 დაბადებულა ხანანი კმირი,  
 ვით დინოცხენ, ისევე ერთად...  
 ... წუხელის კოვოც დაბადებულა,  
 ცნს ხამი, ცინფრად ხაკამაშარი,  
 ისეთი კოვოც დაბადებულა,  
 დაურქმევიათ თურმე თამარი.  
 დაბადებულა წუხელის ნინო  
 და ქეთეფანი დაბადებულა,  
 ის ბხელი ღამე თურმე უყვინად  
 ღეთიურის ნათლით განათებულა.  
 უველა ზღაპარი ხოცხეზარი  
 ახდენილა და გამართლებულა,  
 დაბადებულა თურმე ნესტანი  
 და თინათინი დაბადებულა...  
 და ვინაროდენ...  
 ქართველთა მორის  
 ღვიძლ მშათა ხიდი კვლავ ვადებულა  
 და ერთიანი, ნანატრი დროის  
 ქართლი სელახლა დაბადებულა!!!



მხატვარი გია ლავაური






**რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს:**  
მარიამ ხუნდაძეს, მარიამ შირბელაშვილს, ნათია ღანაღიას,  
გიორგი ბაბუნიას, ანო ზორიას, ანუკა კეკელიას, თეკლა დოჭიას,  
მარიამ ბეგუშვილს, ჰამა წიგნივასს, თინათინ ავალიანს.

მშობლების საყურადღებოდ: თუ გსურთ თქვენს პატარას მიუღლოთ დაბადების დღე,  
დაგვიკავშირდით ორი თვით ადრე. ტელეფონი: 93 10 32

# „დილა“ სტუმრად თბილისის ზოოპარკში

ზაფხულის ერთ დღეს „დილა“ გადაწყვიტა ზოოპარკს სწვეოდა და გაეყო, როგორც ხოვრობდნენ მისი ბინადარნი. აღრიანად, უხმოდ, ნიათთან ერთად ჩაუქროლა ზოოპარკის შესასვლელს და მრავალწლიანი წაბლის ხეები ააშრიალა. მერე ზოოპარკის ქვედა მხარეს, მდინარე ვერეს ხეობისაკენ ჩაუვდა, სადაც მურა დათვი ფუსფუსებდნენ და დავობდნენ - დედა დათვი ბელს ტუქსავდა, რომელიც გალიიდან გაპარვას აპირებდა. ის კი ემუდარებოდა დედას, - გამიშეი, გარეთ გამიშეი, მინდა ხეზე ავიდე, მწვანე ბალახებში ვიკორტალო, წვიმის ქვეშ ვირბინო. - არ შემიძლია შეილო, ჩვენ ტყეები ვართ და თავისუფლება აკრძალული გვაქვს, - არწმუნებდა ბელს დედა დათვი, რომელსაც უკვე

იტანს. შემდეგ „დილის“ მზის სხივი ფარშევენების ვილიერს მოეფინა, მაშალ ფარშევენებს ხვეით წამოეყარათ მწვანე, ლურჯკოპლებიანი ბუმბულები და მარაოსავით გაეშალათ ბოლოები.



მათი სილამაზით მოხიბლული საქორწინოდ გამზადებული დედლები კი გვერდიდან არ სცილდებოდნენ.

„დილის“ სტუმრობა გაეხარდათ თუთიყუშებსაც, განსაკუთრებით წითელ არას - „იოკას“, რომელიც ამ დროს ხმაძალა ეძახდა ზოოპარკის თანამშრომლებს „ნათია! ბაჩო! ლამარა!“ და „დილასთან“ ერთად მისულ ნათიას სიხარულით შეეგება: „როგორა ხარ?“

სითბოს მოვარული ზანტი და მოუქნელი ბეჭემითი მზეზე ნებიერობდა და მეზობელ გალიაში მობინადრე გვირგვინს ლულუნით რულაშორული თვლემდა. მის მოპირდაპირე მხარეს, ფერღობზე, თეთრი ყანჩები გამაყრებულად აკაკუნებდნენ ნისკარტებს, მათ გვერდით, სუფთა წყლით საეცე აუზში დინჯად დაცურავდნენ თეთრი, ქათქათა გედები. იქვე, ახლოს, ამაყად დააბიჯებდნენ გაუმძღარი ხუჭუჭა ვარჩვები და თევზის მოლოდინში იქით იყურებოდნენ, საიდანაც მათ ყოველდღიურად საკვებს აწვდიან.

„დილა“ კითხი აღმართს აუყვია და მალე ლომის ბრდღიენვა შემოესმა. ნადირთა მეფე, რომლის ძალა და გამბედაობა ყველასათვის ცნობილია, აქ რაღაცნაირად დაბეჭავებული, დანადგლიანებული ეჩვენა, თუმცა მდიდრული იერი მაინც შენარჩუნებული ქჷონდა. მის გვერდით „დილა“ არანაკლებ ძლიერი და ლამაზი მტაცებელი - ვეფხვი დაინახა კიწრო გლიაში. ბუნებაში ვეფხვი ერთთავად ნადირობს, ამასთან შეუმჩნევლად უსაფრდებდა მსხვერპლს, რომ ადვილად ჩაიფდოს კლანჭებში. აქ კი,

დიდი ხნის მოწყენილი ჰქონდა ტყეებომაში სიცოცხლე. დათვიები ბედით შეწუხებულმა „დილამ“ ნაზად მიუალერსა ბელს, იმან რაღაც ჩაბურღლუნა და დელასთან ერთად გალიის კუთხეში მიიშალა.

„დილაში“ იქვე ახლოს, სიცხით შეწუხებულ თეთრ დათვს გრილი ნიათი მოუფინა - თიორი დათვის სამშობლო ხომ ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანეა და ამიტომ მისი სხეულიც ძლიერ ყინვებთან არის შეგუებული, სიცხეს კი ძნელად



გალიაში გამომწვედელი, იგი უმწეო გაფორებით აწყდებოდა კედლებს.

მასობლად საზაფხულო ვოლიერში მგლების ოჯახი ნებივრობდა მზეზე - მგლები სიცვიეს ხომ მშვენივრად ეგუებიან, არც ზაფხულის სიცხეებით წუხლებიან.

ხმაურიანი და მჩქეფარე ცხოვრებით „დილის“ ყურადღება მიიქცეის მაიმუნებმა. პატარა მაიმუნები თითქმის მთელი დღე თამაშობენ, დარბიან, კოტრიალობენ. ჩვილშვილიანი დედა მაიმუნები კი პატარებზე ზრუნვით არიან დაკავებულნი. ოჯახის მეთაური, ძლიერი მამალი მაიმუნი ფხიზლად აკონტროლებს, თუ როგორ უკლის დედა მაიმუნი პატარებს. დასვენებისას მაიმუნები ეფერებიან და ასუფთავებენ ერთმანეთს.

აქედან მიმავლი „დილა“ გზაზე ცუგოს და



მასთან მოთამაშე პატარა მაიმუნს შეეყარა - ისინი მომველთან ერთად თავისუფლად დასვირონობდნენ ზოოპარკის ტერიტორიაზე. პატარა მაიმუნი, სახელად აგრაფინა, სოხუმის მაიმუნების საშენში დაბადა, დედა სოხუმის ომის დროს, ერთ-ერთი დაბომბვისას დაედუპა. დაობლებული უმწეო არსება გვარდიელმა ბიჭებმა თბილისში ჩამოიყვანეს და ზოოპარკში დაახინავეს. სახელი - აგრაფინაც მათ შეარქვეს. ზოოპარკში აგრაფინა თავის მომველს და პატარა ძაღლს დაუმეგობრდა, რადგან სხვა მაიმუნებმა ის არ მიიღეს. პატარა ობილ აგრაფინას მარტო ყოფნა ძალიან უჭირს და როცა მარტო რჩება, თიხის ფანჯრიდან დაიჭებოდა იფურება გარეთ, თითქოს მუდამ ვიღაცას უძებნებოდა, რომელიც სიზმარივით ახსოვს? აგრაფინას ბედით მწეუბლებული „დილა“ მიიღრუბლა და დასწვევლა ომი, რომელიც არც ცხოველს ინდობს და არც ადამიანს, არც დიდს და არც პატარას.

როდესაც „დილა“ ფერდობზე გაშენებულ ვოლიერს მიადგა და უღამაზეში ლაღი ხარირემი დაინახა, ღრუბელი გადაიყარა. ირემს ჯერ კიდევ სუსტი, ზრდადაუსრულებელი დატოტკ-



ილი რქები ჰქონდა, მაგრამ მაინც ამაყად, თავდაჯერებულად მიიბიჯებდა. იქვე იყვნენ ხალხებიანი ირმები, რომლებსაც უკვე გამოეცვაათ ზამთრის ბეწვი და ზაფხულის მოკლე, მუქნაღისფერი, თეთრად დაწინწკლული ქათიბი ექცაო.

ზოოპარკის ბოლოში, ხილიანის ქუჩის მხარეს, მათულობადისაგან შეკრულ ვოლიერში მტაცებელი ფრინველები იყვნენ თავმოყრილი. თავნალური შეხვდა სტუმრებს ხელ რამდენიმე მეტრ გალიაში გამომწვედელი, ფრენას გადაწვეული ფრინველთა მეფე - არწივი. ველურ ბუნებაში განუხაზღვრელი სიმაღლის სივრცეში ნავარდს დანატრებული კონდორი დღეისათვის ყველაზე უფროსია ზოოპარკის ბინადართა შორის - ხშირად, ხშირად ის თურმე ფრთავამილი უკლის გარს თავის პატარა და მომპებრებელ გალიას.

„დილა“ გულდამძიმებული გამოემშვიდობა ზოოპარკის ბინადართ და გაღაწვევით ყველა ბავშვისათვის ეამბნა მათი გასაჭირი, დაენახებინა ზოოპარკის ცხოველ-ფრინველთა სეველიანი თვალები, რომლებშიც შეიძლება ამოვიკითხოთ, რომ ნებისმიერ ცოცხალ არსებას, განსაკუთრებით კი დატყვევებულს, გაფრთხილება და სიყვარული ესაჭიროებათ ადამიანისაგან. ისინი ხომ ჩაკეტულ გალიებში ცხოვრობენ და ადამიანის დაუნდობლად ვერ იარსებებენ.



# გააკეთეთ თქვენი ხელით

ეროვნული  
პედაგოგიკური


ეს სათამაშო ქალაქ რუსთავეში მცხოვრები თქვენი თანატოლის, **რუსუბან ღუნაშვილის** გაკეთებულია.

ეცადეთ, იქნებ თქვენც შეძლოთ შეკეროთ ასეთი ჟირაფი ამ ფოტოსა და მოცემული დეტალების მიხედვით.



შეკერილია ყვითელი ტილოს ქსოვილისაგან. გამოყენებულია შავი დერმატინი, შავი ძაფი და მძივი; ბამბა და სხვადასხვა ნარჩენები ტანის ამოსავსებად.

ნახაზის მიხედვით გამოჭერით დეტალები: ტანი და ქვედა ტანი (ორ-ორი ცალი), ოთხი ქუსლი, ორი ყური, კუდი, ფაფარი, და ტანის გასაფორმებლად - დერმატინის ყვავილეები (18-20 ცალი). დეტალების შეერთება უნდა დაიწყოთ თავიდან. ჯერ ჩააყოლებთ ყურებს, მერე ფაფარს და კუდს, ბოლოს ფეხებს (იკერება საკერავი მანქანით). ფეხებს შორის დატოვებთ გაუკერავ ადგილს ნარჩენების ჩასატენად; მერე ტანზე დააკერებთ დერმატინის ყვავილებს, ფეხებზე და კუდზე კი - ასევე დერმატინისაგან გამოჭრილ ქუსლებს. პირს ხელით ამოუქარავთ. ჩაუსვამთ მძივების თვალებს; ამოავსებთ ნარჩენებით, და ამ ადგილს ხელით ამოკერავთ.



ღიღი მაღლონა რ ჯიღას<sup>ა</sup> დაბადების დღის მოლოცვით  
ვინ. მის ჭეითხველოებს კი ვითაებთ ლეგოების სასა-  
სლებდე მისეღას. ეცადე სხეგან ახ მონჯე.  
დათა ლაფაუეხი



ერთხელ ჩემს პატარაობაში ბებია მეზობელ სოფელში ნათესავეების სანახავად წავიდა. მეც თან წამიყვანა.

ზაფხული იდგა. თბილოდა. ახალი კაბა და გაპრიალებული ფეხსაცმელები ჩამაცვეს. თმაზეც თეთრი ბაფთა შემებახს. ხელში კი ჩემი პატარა ყვითელი „ჩემოდანი“ დამაჭერინეს. ჩემოდანი ხისა იყო, მრგვალი. სახურავიც მრგვალი ჰქონდა, პრიალა აბზინდით იკეტებოდა და ზედ ყურებდაცკვეტილი კურდღელი ეხატა. შიგ გატკიცინებულნი ცხვირსახოცი მქონდა შენახული და კიდევ - ლამაზი სურათები, რომლებიც, თუ მათ წყალში დაასველებდით, მერე სუფთა ქალაღზე დააწებდით და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ააძრობდით, იმ ქალაღზე გადავიდოდა. ეს სურათები ჩვენი ნათესავეების ბავშვებთან მიმქინდა საჩუქრად.

ბებია სამეზობლოდ გამოეწყო: ვრძელი, ნაოჭიანი ფარჩის კაბა ჩაიცვა, შუბლზე ჯილა ქინძისთავებით შემკობილი ჩიხტიკობი დაიდგა, თავზეც დაბასმული ლენჩაქი დაიხურა, და წავედით რკინიგზის სადგურისაკენ. შინაურებმა საურმე ვზამდე გაგვაცილეს, კეთილი მეზავრობა გვისურვეს, ჩემმა ტანწერწეტა, კოწიწა ქეთია ძაღლმ კი მხარზე ხელი მომხვია და მითხრა:

- შეილო, იქ მასპინძლები რამეს შემოგთავაზებენ: ხილს ან სხვა საჭმელს, დიდს ხელი არ ახლო, ყველაზე პატარა აიღე. ხომ არ დაგავინწყდება?..

- არა, არ დამავინწყდება! - შეგპირდი ქეთია ძაღლმ.

ახლოს იყო ის სოფელი, სადაც მე და ბებია მივილიდით. მატარებელმა ძალე მივეცივანა.

„თამრიკო მოვიდა, თამრიკო!“ - შემომეხვიენენ ბავშვები. ყველას მივესალმე და ჩემი მიტანილი ლამაზი სურათები დავურვივე.

შუადღისას მასპინძლებმა სადილად დაგვიძახეს. სადილის შემდეგ კი იქაურმა ბებიამ კამფეტებით საესე თუფში მოგვიტანა და გეთხრა, ესლა ამით ჩაიკოკლოზინეთ პირიო.

თუფში პრიალა ქალაღებში შეხვეული ლამაზი კამფეტები ეწყო. ბავშვებმა აიღეს: ზოგმა ერთი, ზოგმა ორი. მე არ ამიღია. ქეთია ძაღლმ დარვიგბა მახსენდებოდა და ყველაზე პატარას ვეძებდი. ბავშვებმა თუფში ახლოს მომიტანეს „აიღეო“, მითხრეს, მაგრამ რომელი ამეღო, არ ვიცოდი, ყველა ერთნაირი იყო. ყველაზე პატარა არ ჩანდა. ამასობაში თუფში მთლად დაცარიელდა. ბავშვები ეზოში გაიქცენ და მეც თან გამიყოლიეს.

კამფეტი რომ არ შემხვდა, ამაზე გული არ დამწყვეტია, ბავშვებთან თამაშში ისე გავერთე, გადამვიწყდა კიდევ. მაგრამ ქეთია ძაღლმ დარვიგბა ისე დამამახსოვრდა, ჩვევად გადაამექცა. მას შემდეგ, როცა სტუმრად ვარ და რამეს შემომთავაზებენ, დიდს, სათვალის კი არა, ყველაზე პატარას, მცირეს მოგვიღებ ხოლმე ხელს. არ ვიცი, სხვა როგორ იქცევა, მე კი ასე უფრო მომწონს.



# გაგვითილების ცხრილი

საქართველო  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

## ორშაბათი

- 1 \_\_\_\_\_
- 2 \_\_\_\_\_
- 3 \_\_\_\_\_
- 4 \_\_\_\_\_
- 5 \_\_\_\_\_
- 6 \_\_\_\_\_

## სამშაბათი

- 1 \_\_\_\_\_
- 2 \_\_\_\_\_
- 3 \_\_\_\_\_
- 4 \_\_\_\_\_
- 5 \_\_\_\_\_
- 6 \_\_\_\_\_

## ოთხშაბათი

- 1 \_\_\_\_\_
- 2 \_\_\_\_\_
- 3 \_\_\_\_\_
- 4 \_\_\_\_\_
- 5 \_\_\_\_\_
- 6 \_\_\_\_\_

## ხუთშაბათი

- 1 \_\_\_\_\_
- 2 \_\_\_\_\_
- 3 \_\_\_\_\_
- 4 \_\_\_\_\_
- 5 \_\_\_\_\_
- 6 \_\_\_\_\_

## პარასკევი

- 1 \_\_\_\_\_
- 2 \_\_\_\_\_
- 3 \_\_\_\_\_
- 4 \_\_\_\_\_
- 5 \_\_\_\_\_
- 6 \_\_\_\_\_



მ. კვიციანი





# რთხედია მისკამი

საბავშვო ჟურნალი

საშინაო დავალებებს  
 უკირკიტებს,  
 უტრიალებს,  
 მიტომ წერენ მის  
 დღიურში  
 მსუქან - მსუქან  
 სუტიანებს,  
 სუფთად დადის,  
 დინჯად დადის,  
 ბუფს სუთები  
 უფრთიანებს.



ოთხოსნობაც კარგი არის,  
 ჰეავს მომხრეც და  
 მოტრუიალებს  
 მაგრამ იცით?  
 მის დღიურში  
 სკოლიდან რომ  
 მოფრთხილებს,  
 სუტიანი რად არ ვართო,  
 ბული სწუდებათ  
 ოთხიანებს...

ის ისევე სახლში არის  
 როცა სარის ხმა  
 წკრიალებს,  
 როცა მოდის  
 სხვას ხელს უშლის, -  
 აქეთ - იქით დაწრიალებს,  
 ამიტომაც ბესრეკ სამებს  
 სახლში მიაბაწრიალებს.

სულ თავხედობს,  
 სულ ჯიუტობს,  
 სულ ქუნამი მორიალებს,  
 მისი წანთა - წიგნებიდან  
 მხესუმხირა მორიალებს.  
 დასეული დღიურიდან  
 კუდი უჩანთ ორიალებს.

აიჩნით ამ ოთხიდან  
 რომელია მისაბამი?  
 - სუთოსანი!  
 - კარგიც, კარგი!  
 ვნახოთ, შენ რას იხამ აწი...  
 ეს ვახსოვდეს,  
 სუთოსნობას  
 ვერ მიაღწევ სიხარმადით!

მხატვარი ლალი ლომთაძე

# მეფუტკრე ელო

ეველა ძეგლს და  
 ეველა საუდარს  
 ღამის თაუზე შემოეველოს,  
 რაკი იცის  
 სახთლის ფასი -  
 ფუტკრის მოვლას  
 სწავლობს ელო,  
 თაფლიც უნდა,  
 ფიჭაც უნდა  
 თავისუფალ  
 ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო ს !



მხატვარი ალექსანდრა შარსაღანიშვილი

## იბოვეთ კანონზომიერი გაგრძელება

რომანოზ დანალია

ბავშვებო!

საბავშვო ჟურნალებში თუ ლექსთა ნიგნებში ხშირად გინახავთ მისართიმი გამოცანები, ვთქვათ, ასეთი:

**ისეთი შავი არი,  
 ვერ შეაქმნევ დამეში,  
 ლაფი უყვარს დორივით,  
 თქვი, რა პქია?**

ეს ლექსი რომ დასრულდეს, თქვენ მის პირველ ნახევართან გართიმული, ანუ სმიერებით მის მსგავსად დაბოლოებული სიტყვა უნდა მოძებნოთ. ეს სიტყვა (აქ - კამეჩი) ლექსის კანონზომიერი ჟღერადი დასასრულიც არის და გამოცანის პასუხიც;

ესე იგი, მისი ხმარებაა აქ აუცილებელი და ლოგიკურიც, ანუ აზრობრივად მართებული, კანონზომიერი.

ახლა მოგანვდით შინაგან კანონზომიერებაზე აგებულ მცირე მათემატიკურ დავალებებს. დაფიქრდით, რა ნესით არის დალაგებული ქვემოთ მოყვანილი რიცხვები და ლოგიკურად გააგრძელეთ მათი რიგი.

2, 4, 6, 8, ... (გააგრძელეთ 20-მდე)

4, 8, 12, 16, ... (გააგრძელეთ 40-მდე)

1, 3, 5, 7, ... (15-მდე)

1, 2, 3, 5, 8, 13, ... (34-მდე)

რიცხვების რიგი, თქვენი სურვილისამებრ, შეგიძლიათ გააგრძელოთ, სადამდეც გინდათ.

### მთავარი რედაქტორი დოდო წიგწივაკაძე

სარედაქციო საბჭო: **ლევან ბაბუხაძე, ივინო გაყვამიძე, გიორგი რომიშვილი, მამლა კვაჭანტირაძე, შერმაღინ ძალღანი, თეგოზ ჩალაური.**

მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 41 30, 93 10 32

გამოდის 194 წლიდან

ელაზე ნახატი ნანა იოსელიანისა

**დაბეჭდილია ბულგარეთში საგამომცემლო ფირმა „შერის“ მიერ.**

ფასი სახელშეკრულებით



ღაჯახბარათ ნითელქუღას ბუბიასთან მისასვლელი გზის პოვნაში.